



NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის ფარგლებში
განხორციელებული და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო
პროგრამებისთვის

ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი(ებ)ი 3. 7. 2026

დასკვნის წარდგენის თარიღი: 20. 7. 2026

თბილისი

შინაარსი

- I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებError! Bookmark not defined.
- II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა.....Error! Bookmark not defined.
- III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი Error! Bookmark not defined.
- 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა Error! Bookmark not defined.
- 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა Error! Bookmark not defined.
- 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობაError! Bookmark not defined.
- 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა Error! Bookmark not defined.
- 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები..... Error! Bookmark not defined.

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	424066977
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	არმანდ ფაგანელი, პრიმორსკას უნივერსიტეტი, სლოვენია
წევრი (სახელი, გვარი, უსდ / ორგანიზაცია/ქვეყანა)	ეკა ლეკაშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ეკა დევიძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე, ა(ა)იპ - Webster University, Inc. - ის ფილიალი საქართველოში
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	შალვა მხეიძე, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელოწდება (ქართულად)	ტურიზმი
საგანმანათლებლო პროგრამის სახელოწდება (ინგლისურად)	Tourism
უმაღლესი განათლების საფეხური / პროგრამა	მე - 6 დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ტურიზმის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	1015 მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-
დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო	-

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტმა მოამზადა "ტურიზმის" ქართულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა. აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინიციატივა ეკუთვნის საქართველოს მთავრობას.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ 2026 წლის 23 ივნისს ჩამოყალიბებულმა ექსპერტთა ჯგუფმა, 2026 წლის 1 ივლისს ჩაატარა ონლაინ შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა ერთმანეთის გაცნობა, პასუხისმგებლობების გადანაწილება და დღის წესრიგის დაგეგმვა. აკრედიტაციის ვიზიტი ჩატარდა 2026 წლის 3 ივლისს, წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის შესაბამისად. შეფასების პროცესი წარიმართა ონლაინ ფორმატში: ექსპერტები უნივერსიტეტში ვიზიტს ესწრებოდნენ Zoom - ის მეშვეობით. ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა დაინტერესებულ მხარეებს და ინტერვიუების ფარგლებში გადამოწდა წარმოდგენილი ინფორმაცია. ექსპერტებმა ასევე მოითხოვეს დამატებითი დოკუმენტაცია, რომელიც წარმოდგენილ იქნა, როგორც ვიზიტის დროს, ისე მოგვიანებით ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა დაათვალიერეს და შეისწავლეს უნივერსიტეტის რესურსები და ინფრასტრუქტურა. ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით და კონსტრუქციულ გარემოში. ვიზიტის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა გააანალიზა მიღებული ინფორმაცია და თავიანთი ნაწილების წარმოდგენის შემდეგ მოამზადა ერთიანი დასკვნა, რომელიც წარედგინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

▪ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი "ტურიზმის" საგანმანათლებლო პროგრამა ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა შემდეგნაირად: სტანდარტი 1 – შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" სტანდარტი 2 – მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, სტანდარტი 3 – შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, სტანდარტი 4 – მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან და სტანდარტი 5 – შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

▪ რეკომენდაციები

- რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის რუკა გაცნობის - გაღრმავების - განმტკიცების პრინციპის შესაბამისად.
- რეკომენდებულია, გაიზარდოს სტაჟირების ობიექტზე საკონტაქტო მუშაობის კვირეული დატვირთვა და აისახოს შესაბამის მემორანდუმებში / ხელშეკრულებებში. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა აქტიურად ითანამშრომლოს სტაჟირების ობიექტების წარმომადგენლებთან სტაჟირების კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების საკითხებთან დაკავშირებით.
- რეკომენდებულია, უსდ-მ შეიმუშაოს და დანერგოს გენერაციული ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების ეთიკური გამოყენების ოფიციალური პოლიტიკა და სახელმძღვანელო პრინციპები.
- რეკომენდებულია, გაიზარდოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა, რომელთა კვალიფიკაცია, სწავლების გამოცდილება და კვლევითი საქმიანობა უშუალოდ არის დაკავშირებული ტურიზმის სფეროსთან (დარგობრივი).
- რეკომენდებულია, გაფართოვდეს საერთაშორისო კვლევითი თანამშრომლობის და შესაძლებლობების განვითარების ინიციატივები, გამორჩეულად ტურიზმის მიმართულების აკადემიური პერსონალისთვის, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას კვლევითი პროდუქტიულობა, სწავლების ხარისხის გაუმჯობესება და პროგრამის ინტერნაციონალიზაცია.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა დააჩქაროს პროგრამის დაფინანსების ალტერნატიული წყაროების მოძიება პროგრამის მდგრადობის და განვითარების უზრუნველსაყოფად (მათ შორის, სხვადასხვა პლატფორმების შესყიდვა, სიმულაციური ლაბორატორიების შექმნა და სხვა).

▪ რჩევები

- სასურველია, სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიაში აისახოს სამიზნე ნიშნულები რაოდენობრივი მაჩვენებლების მითითებით და დაიხვეწოს კონტინგენტის გამოთვლის საერთო ფორმულა.
- სასურველია, უნივერსიტეტმა პროგრამის განვითარების ჯგუფს და შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს მიაწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესახებ.

- სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს და დანერგოს სასწავლო კურსებში განმავითარებელი შეფასების და უკუკავშირის მიწოდების სავალდებულო პრაქტიკა.
- სასურველია, უსდ-მ გაზარდოს მემორანდუმების რაოდენობა და გააძლიეროს თანამშრომლობა კომპანიებთან და ორგანიზაციებთან სტუდენტების სამომავლო დასაქმების შესაძლებლობების გაფართოების მიზნით.
- სასურველია, დაწესებულებამ სტუდენტებისთვის და პერსონალისთვის შეიმუშაოს ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საორიენტაციო და გაცნობითი სტრუქტურირებული მექანიზმი, რაც ხელს შეუწყობს ხარისხის კულტურის უკეთ გააზრებას, აამაღლებს დაინტერესებული მხარეების ცნობიერებას შეფასების პროცესებში მათი როლის შესახებ და უზრუნველყოფს სისტემატურ ჩართულობას ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებაში.
- სასურველია, დაგეგმილ შეფასების ციკლებს შორის დაინერგოს შუალედური შეფასება, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა მიღწევების დროულ მონიტორინგს და ხელს შეუწყობს პროგრამის უწყვეტ გაუმჯობესებას.
- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁴**
არ არის მითითებული.
- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**
დაწესებულება სრულად იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს და გამოხატავს მზაობას გააუმჯობესოს და აამაღლოს საკუთარი საქმიანობის ხარისხი და ეფექტიანობა.
- საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, მაგალითად:
 - პერსონალი და ნაშრომების ხელმძღვანელები - პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და საერთაშორისო პერსონალი); დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის მონაცემები; აკადემიური / სამეცნიერო პერსონალისა და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა; აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა; მაგისტრანტების და ხელმძღვანელების თანაფარდობა;

პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციის და ვიზიტის ფარგლებში მოპოვებული მონაცემების საფუძველზე დასტურდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის საერთო რაოდენობა შემდეგია:

პროგრამაში ჩართული პერსონალის საერთო რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი) – 19 (მათ შორის: პროფესორი – 8, ასოცირებული პროფესორი – 11, ასისტენტი – პროფესორი – 0, ასისტენტი – 0, მოწვეული პერსონალი – 13, სამეცნიერო პერსონალი – 0).

დარგობრივი გამოცდილების მქონე პერსონალი – 5 (მათ შორის: მოწვეული პერსონალი – 0), დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი – 8 (მოწვეული პერსონალი

აფილირებული აკადემიური პერსონალი – 19 (მათ შორის პროფესორი – 8, ასოცირებული პროფესორი – 11, ასისტენტი – პროფესორი – 0).

- სამეცნიერო / კვლევითი მაჩვენებლები - პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო / კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში); საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობრივი მონაცემები; ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლები; სხვა სამეცნიერო / კვლევითი მაჩვენებლები;

თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციის და ვიზიტის ფარგლებში მოპოვებული მონაცემების საფუძველზე დასტურდება, რომ პროგრამაში ჩართული პირების ჯამური სამეცნიერო / კვლევითი მაჩვენებელი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შეადგენს 753 - ს (მათ შორის: 91 – ადგილობრივი ჟურნალები, 216 – საერთაშორისო ჟურნალები, 84 – ადგილობრივი კონფერენციები, 97 – საერთაშორისო კონფერენციები, 265 – სხვა სამეცნიერო აქტივობა).

- აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში) (მაგ. პენსიაზე გასული, დაწესებულებიდან წასული, ახალი პერსონალის რაოდენობა და ა.შ.);

არ ეხება

- ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები (ბოლო 5 წლის განმავლობაში, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში); პროგრამაზე გამოცხადებული სტუდენტთა ადგილების რაოდენობა; სტუდენტთა პროგრესია სასწავლო წლების მიხედვით;

არ ეხება

- თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შეფასება
1.	1.1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შეესაბამება
1.1	პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია
1.3	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	მეტწილად შესაბამისობაშია
1.4	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია
1.5	სასწავლო კურსი / საგანი	შესაბამისობაშია
2.	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	მეტწილად შესაბამისობაშია
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	მეტწილად შესაბამისობაშია
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია
2.4	სტუდენტების შეფასება	მეტწილად შესაბამისობაშია
3.	სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია
3.1	სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	შესაბამისობაშია
3.2	მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	არ ეხება
4.	სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	მეტწილად შესაბამისობაშია
4.1	ადამიანური რესურსი	მეტწილად შესაბამისობაშია
4.2	მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	არ ეხება
4.3	აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია
4.4	მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია
4.5	პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	მეტწილად შესაბამისობაშია

5	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია
5.1	შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია
5.2	გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია
5.3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხ. ბმული)

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები

რჩევები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში / დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასების თაობაზე

[შეფასების კრიტერიუმები](#)

განმარტებები:

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

IV. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის განსაზღვრული და აღწერს კურსდამთავრებულებისგან მოსალოდნელ ცოდნას, უნარებს და კომპეტენციებს და ამავე დროს, ასახავს პროგრამის წვლილს ტურიზმის სექტორის და საზოგადოების განვითარებაში. მიზნები შემუშავდა თანამშრომლობითი პროცესის ფარგლებში, რომელშიც ჩართული იყვნენ აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული მხარეები, რაც უზრუნველყოფს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და დაინტერესებული მხარეების მოლოდინებთან მიზნების შესაბამისობას. ისინი თანხვედრაშია სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიასთან, რაც უზრუნველყოფს კარიერულ განვითარებას პროფესიის მიხედვით და სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გაგრძელებას. პროგრამის მიზნები ყოვლისმომცველია, გაზომვადი და შესაბამისობაშია კვალიფიკაციის დონესთან, რაც ტურიზმის სფეროში კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური პროფესიონალების მომზადების მყარ საფუძველს ქმნის.

ტურიზმის სფეროში კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებით, რომლებიც შეძლებენ უზრუნველყონ ტურიზმის მდგრადი განვითარება და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე რეაგირება, პროგრამა ხელს უწყობს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას. პროგრამის აქცენტი მენეჯერულ ცოდნაზე, პრაქტიკულ უნარებზე და პროფესიულ კომპეტენციებზე ასახავს უნივერსიტეტის ვალდებულებას უზრუნველყოს მაღალი ხარისხის, შრომის ბაზარზე

ორიენტირებული განათლება და შექმნას უწყვეტი განათლების და სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელების შესაძლებლობები.

პროგრამა ასევე ხელს უწყობს უნივერსიტეტის რეგიონულ მისიას მოამზადოს სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ სამცხე - ჯავახეთის ტურიზმის სექტორის და ამავე დროს ადგილობრივი ეკონომიკის და კულტურის განვითარებას. კომუნიკაციის, გუნდური მუშაობის, კრიტიკული აზროვნების და პროფესიული ეთიკის განვითარებით პროგრამა ხელს უწყობს დემოკრატიული ღირებულებების, ინტერკულტურული ურთიერთგაგების და აქტიური სამოქალაქო ჩართულობის ჩამოყალიბებას. პროგრამის მიზნები მკაფიოდ შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და აერთიანებს აკადემიურ ხარისხს, რეგიონული განვითარების პრიორიტეტებს, საზოგადოებრივ საჭიროებებს და ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ინტეგრაციის მზადყოფნას. საგანმანათლებლო პროგრამა თანმიმდევრულად ავითარებს ინტერნაციონალიზაციის განზომილებას უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პარტნიორობის ინიცირებით, საერთაშორისო აკადემიური პერსონალის ჩართულობით და ერთობლივ აკადემიურ ინიციატივებში და თანამშრომლობით პროექტებში მონაწილეობით. აღნიშნული აქტივობები ხელს უწყობენ სწავლება - სწავლის პროცესში გლობალური პერსპექტივების ინტეგრირებას, აკადემიური ხარისხის ამაღლებას და საზღვრებსშორისი თანამშრომლობის განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმა და სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
- შრომის ბაზრის და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- უნივერსიტეტის ვებ - გვერდი www.sjuni.edu.ge; უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული გეგმა;
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან.

რეკომენდაციები.

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები:

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და ზუსტად ასახავს ტურიზმის სფეროს ბუნებას და მოთხოვნებს. სწავლის შედეგები შემუშავებულია ტურიზმის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად, მათში სრულყოფილად არის აღწერილი პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულისგან მოსალოდნელი ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა.

ცოდნასთან დაკავშირებული სწავლის შედეგები ემსახურება პროგრამის იმ მიზნის მიღწევას, რომელიც კურსდამთავრებულებს უზრუნველყოფს ტურიზმის პრინციპების, მენეჯმენტისა და მასთან დაკავშირებული დისციპლინების ფართო ცოდნითა და გააზრებით. უნარებზე ორიენტირებული სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზანს, მოამზადოს კურსდამთავრებულები ტურიზმის ბიზნეს პროცესებში მონაწილეობისთვის, ტურისტული პროდუქტების შემუშავებისთვის, ეფექტური კომუნიკაციისთვის და სექტორში არსებული პრობლემების გადაჭრისთვის. პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის სწავლის შედეგები განამტკიცებენ პროგრამის მიზანს, რომელიც ითვალისწინებს დამოუკიდებელი, ეთიკური და

სოციალურად პასუხისმგებელი პროფესიონალების განვითარებას, რომლებსაც შეეძლება გუნდური მუშაობა, უწყვეტი განათლების მიღება და პროფესიული განვითარება.

სწავლის შედეგები სტრუქტურირებულია ცოდნის, უნარების და პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის კატეგორიების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და დარგობრივ მახასიათებელთან. სისტემატური შეფასების პროცესი სწავლის შედეგების მიღწევის გაზომვის მიზნით, ასახავს ხარისხის უზრუნველყოფის და უწყვეტი გაუმჯობესების ვალდებულებას. პროგრამის სწავლის შედეგები თანმიმდევრულია, გაზომვადია და შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან და ტურიზმის დარგის სპეციფიკურ მოთხოვნებთან. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები თანხვედრაშია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონესთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია; პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებთან (დამსაქმებლები) ჩატარებული შეხვედრის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- შრომის ბაზრის და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- უნივერსიტეტის ვებ - გვერდი www.sjuni.edu.ge
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან.

რეკომენდაციები.

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შეფასება
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ჩამოყალიბებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სტრუქტურირებული მექანიზმი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების და შიდა რეგულაციების შესაბამისად. შეფასების ციკლი მოიცავს სწავლის შედეგების განსაზღვრის, შესაბამისი მტკიცებულებების შეგროვების, შეფასების შედეგების ანალიზის და მიღებული შედეგების ხარისხის გასაუმჯობესებლად გამოყენების ძირითად ეტაპებს. პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდები უზრუნველყოფენ ყოვლისმომცველ მიდგომას სტუდენტებისგან მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად.

პირდაპირი შეფასების მეთოდი ეფუძნება სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზს სხვადასხვა შეფასების ინსტრუმენტების, მათ შორის გამოცდების, პროექტების, პრეზენტაციების, პრაქტიკული დავალებების და შემთხვევების შესწავლის შეფასების შედეგების გამოყენებით. პროგრამაში განსაზღვრულია შესრულების ინდიკატორები და შეფასების ზღვრები, რაც ხელს უწყობს ისეთი შემთხვევების გამოვლენას, როდესაც სწავლის შედეგები მარტივად ან არასაკმარისად არის მიღწეული. შესრულების სამი დონის გამოყენება უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის სისტემატურ გაზომვას.

არაპირდაპირი შეფასების მეთოდი მოიცავს ძირითადი დაინტერესებული მხარეების, კერძოდ, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების უკუკავშირს, რაც უნივერსიტეტს საშუალებას აძლევს შეაფასოს კურსდამთავრებულების კომპეტენციების შესაბამისობა შრომის ბაზრის მოლოდინებთან.

დოკუმენტების შესწავლით და ინტერვიუებით გამოვლინდა, რომ პერსონალი და სხვა დაინტერესებული მხარეები იცნობენ შეფასების პროცესს და იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგების შეფასების ანალიზის შესახებ. რაოდენობრივი ზღვრების დადგენა (მაგალითად, დაინტერესებული მხარეების უარყოფითი უკუკავშირი 30%) უზრუნველყოფს ობიექტურ კრიტერიუმებს დამატებით გასაანალიზებელი და შესაფასებელი სფეროების გამოსავლენად.

შეფასების ჩარჩო აჩვენებს, რომ უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს სრული შეფასების ციკლი. პროგრამის ფარგლებში ჩამოყალიბებულია სწავლის შედეგების შეფასების შესაბამისი და კარგად სტრუქტურირებული მექანიზმი. შეფასების მეთოდები ყოვლისმომცველია და შესაბამისობაშია დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურებთან.

თუმცა, პროგრამის სწავლის შედეგების რუკის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ სწავლის შედეგების მიღწევის თანმიმდევრობა - გაცნობა - გაღრმავება - დაუფლება - არ არის ლოგიკურად დალაგებული. კერძოდ, პირველ სწავლის შედეგში დაუფლების დონეს მოსდევს სხვა საგნებში სწავლის შედეგის გაცნობის დონეზე მიღწევა, მე-2 სწავლის შედეგში - გაღრმავების დონეს მოსდევს გაცნობა, ხოლო მე-3, მე-5, მე-6 და მე-7 სწავლის შედეგებში - დაუფლების დონეს მოსდევს გაღრმავების დონის მიღწევა, რაც არ არის ლოგიკური. ასევე, მე-4 სწავლის შედეგი იწყება პირდაპირ გაღრმავების დონით და არ მოიცავს გაცნობის დონეს. შესაბამისად, უნდა გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის რუკა და სწავლის შედეგები განისაზღვროს გაცნობის, გაღრმავების და განმტკიცების პრინციპის და ლოგიკის შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია; პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული შეხვედრის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- შრომის ბაზრის და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
- უნივერსიტეტის ვებ - გვერდი www.sjuni.edu.ge;
- ინტერვიუები ხელმძღვანელობასთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან.

რეკომენდაციები.

- რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის რუკა გაცნობის - გაღრმავების - განმტკიცების პრინციპის შესაბამისად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	მეტწილად შესაბამისობაშია

1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციის და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება 1.4 კომპონენტის მოთხოვნებს. პროგრამა შემუშავებულია უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების და უწყვეტი გაუმჯობესების მეთოდოლოგიის შესაბამისად. წინაპირობები კარგად არის ორგანიზებული და შესაბამისობაშია სასწავლო პროცესის დაგეგმვით ტრადიციულთან, რაც ხელს უწყობს კომპეტენციების თანმიმდევრულ განვითარებას. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულად და ლოგიკურად არის ორგანიზებული, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების ცოდნის, უნარების და კომპეტენციების პროგრესულ განვითარებას პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. სასწავლო გეგმა შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, სტრატეგიულ მიზნებს, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, ეროვნული კვალიფიკაციების

ჩარჩოს და ტურიზმის ინდუსტრიის შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამის შემუშავების და პერიოდული შეფასების პროცესებში მონაწილეობენ შესაბამისი დაინტერესებული მხარეები, მათ შორის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და ტურიზმის სექტორის წარმომადგენლები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის აქტუალურობას და უწყვეტ განვითარებას. 180 კრედიტის ფარგლებში წარმოდგენილია ზოგადი განათლების და დარგობრივი კომპონენტების ბალანსი და კურსების თანმიმდევრობა უზრუნველყოფს მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო გეგმაში 21 კრედიტი განკუთვნილია სავალდებულო თავისუფალი კომპონენტის კურსებისთვის, 5 კრედიტი განაწილებულია არჩევითი თავისუფალი კომპონენტის კურსებში, 144 კრედიტი განსაზღვრულია სავალდებულო დარგობრივი კურსებისთვის, ხოლო 10 კრედიტი არჩევითი დარგობრივი კურსებისთვის. ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება მის შინაარსს, მიზნებს და სწავლის შედეგებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამის სასწავლო გეგმა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსი, სტრუქტურა და კრედიტების განაწილება შესაბამისია და მხარს უჭერს კურსების და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამა აჩვენებს მკაფიო შესაბამისობას კურსის სწავლის შედეგებსა და პროგრამის საერთო სწავლის შედეგებს შორის, რაც უზრუნველყოფს, რომ თითოეული კურსი ხელს უწყობს კურსდამთავრებულების ცოდნის, უნარების და კომპეტენციების განვითარებას.

სასწავლო კურსების სილაბუსები შემუშავებულია უნივერსიტეტის ინსტიტუციური მოთხოვნების, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და ტურიზმის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად. სასწავლო კურსების სწავლის შედეგების და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკამკაფიოდ ადასტურებს კონსტრუქციულ თანხვედრას. განსაზღვრულია თითოეული კურსის წვლილი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში (გაცნობა, გაღრმავება ან განმტკიცება), რაც უზრუნველყოფს პროგრამის სრული ციკლის ფარგლებში სტუდენტების კომპეტენციების პროგრესულ განვითარებას. ანალოგიურად, პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ხელს უწყობს ერთი ან რამდენიმე კურსი, რაც ადასტურებს სასწავლო გეგმის ყოვლისმომცველ სტრუქტურას.

თითოეული კურსისთვის განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა შეესაბამება კურსის შინაარსს, სასწავლო აქტივობებს და სტუდენტთა მოსალოდნელ დატვირთვას. ბალანსი საკონტაქტო საათებსა და დამოუკიდებელ სწავლას შორის ხელს უწყობს განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას და შეესაბამება ECTS - ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის პრინციპებს.

სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალები შეესაბამება კურსის შინაარსს და მოსალოდნელ სწავლის შედეგებს. აკადემიური პერსონალის მიერ მომზადებული ქართულენოვანი სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა და წვდომა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წიგნად ფონდზე და საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე უზრუნველყოფს სტუდენტებს სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო აკადემიური მხარდაჭერით. ზოგიერთი სასწავლო კურსის მომზადება რამდენიმე აკადემიური პერსონალის მიერ ხელს უწყობს სასწავლო გეგმის თანმიმდევრულობას და მდგრადობას.

წარმოდგენილი პროგრამა აჩვენებს ძლიერ კონსტრუქციულ შესაბამისობას კურსის შინაარსს, კრედიტების განაწილებას, სწავლის შედეგებსა და სასწავლო რესურსებს შორის. სასწავლო გეგმა კარგად არის განაწილებული, რაც უზრუნველყოფს როგორც სასწავლო კურსების, ისე პროგრამის სწავლის შედეგების თანმიმდევრულ მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია; პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებთან (დამსაქმებლები) ჩატარებული შეხვედრის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები;
- აკადემიური / მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
- უნივერსიტეტის ვებ - გვერდი www.sjuni.edu.ge.

რეკომენდაციები.

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
<u>1.5 სასწავლო კურსი/საგანი</u>	შესაბამისობაშია

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაზე სწავლის უფლება ენიჭება პირს, რომელიც ფლობს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ სახელმწიფო დოკუმენტს ან მის ეკვივალენტს (საქართველოს მოქალაქე), რომელმაც ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები და მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე ეძლევა უფლება ისწავლოს სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაზე. პროგრამაზე ჩასარიცხად აბიტურიენტები ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ირჩევენ და აბარებენ მათემატიკას / ისტორიას / გეოგრაფიას და უცხო ენებიდან ინგლისურ ენას (20%+1).

ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ, აბიტურიენტისთვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ ვადებში.

პირს, რომელსაც სურს ჩაირიცხოს პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე, მოეთხოვება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენის (ქართული) ფლობის დადასტურება მინიმუმ B1 დონეზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის

N 224 / 5 ბრძანების „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების / საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.

პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა აქვთ ასევე საქართველოს და უცხო ქვეყნების უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებს და სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვა სპეციალობების სტუდენტებს. სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მობილობის წესით სტუდენტების ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესების შესაბამისად, ხოლო შიდა მობილობა დაშვებულია უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.

პროგრამაზე მიღების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, რაც უზრუნველყოფს პროგრამის დაძლევისთვის საჭირო ცოდნის, უნარების და კომპეტენციების მქონე პირების მიღებას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის სწავლის შედეგებთან, პროგრამის შინაარსთან, საფეხურთან, კვალიფიკაციასთან და სწავლების ენასთან.

თანდართულ დოკუმენტაციაში არ იყო წარმოდგენილი პროგრამაზე სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია. თვითშეფასების ჯგუფთან ჩატარებული გასაუბრების ფარგლებში დაისვა კითხვა აღნიშნულ მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით, რაზეც ჯგუფის წარმომადგენლებმა ვერ გაცეს კონკრეტული პასუხები. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა აღნიშნული დოკუმენტი. შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ უსდ - ს განსაზღვრული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, დაწესებულების რესურსებს და საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებას. მიმდინარე ეტაპზე პროგრამაზე განსაზღვრულია 20 სტუდენტის მიღება. უნდა აღინიშნოს, რომ მეთოდოლოგიის შესაბამისად, სტუდენტთა საერთო რაოდენობა განისაზღვრება შემდეგნაირად (გვ. 4):

"7.2 სტუდენტთა კონტინგენტის (საერთო რაოდენობა) გამოთვლის ფორმულა:

ა) სასწავლო ფართობი (კვ.მ)/ 2 - ზე გაყოფილი;

ბ) აკადემიური პერსონალის რაოდენობა x 30 - ზე (სტუდენტების რაოდენობა);

გ) მატერიალურ - ტექნიკური ბაზა - კომპიუტერების და სხვა ტექნიკური საშუალებების რაოდენობა x 15 სტუდენტზე;

დ) ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა x 30 - ზე (სტუდენტების რაოდენობა). აღნიშნული არ იძლევა მკაფიო ინფორმაციას შედარებითი ანალიზისთვის. სასურველია, სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიაში მკაფიოდ აისახოს სამიზნე ნიშნულების რაოდენობრივი მაჩვენებლები და კონტინგენტის გამოთვლის ფორმულის შედეგები.

უნივერსიტეტი პროგრამაზე უპირობოდ მიიღებს სტუდენტებს აღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შემთხვევაში, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამოქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე და პროცედურები საჯაროდ იქნება ხელმისაწვდომი დაინტერესებული მხარეებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამა;
- სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგია პროგრამების მიხედვით;
- უნივერსიტეტის ვებ - გვერდი www.sjuni.edu.ge;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები.

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიაში აისახოს სამიზნე ნიშნულები რაოდენობრივი მაჩვენებლების მითითებით და დაიხვეწოს კონტინგენტის გამოთვლის საერთო ფორმულა.
- სასურველია, უნივერსიტეტმა პროგრამის განვითარების ჯგუფს და შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს მიაწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესახებ.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია

2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების და საფეხურის შესაბამისად, სტუდენტებს ეძლევათ პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარების და კვლევით პროექტებში ჩართულობის შესაძლებლობა. პროგრამის არჩევითი კომპონენტები მიმართულია ტრანსფერული უნარების განვითარებაზე.

ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ძირითადი სწავლის სფეროს ისეთ სავალდებულო კურსებს, როგორიცაა პროექტების მართვა ტურიზმში (5 კრედიტი), პრაქტიკა (10 კრედიტი), ასევე პრაქტიკული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული კურსები, როგორიცაა: ექსკურსიის მენეჯმენტი და გიდობის ხელოვნება (6 კრედიტი), ტურ - ოპერატორობა (5 კრედიტი), დანიშნულების ადგილის მართვა (5 კრედიტი), გეოინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში (5 კრედიტი).

სტაჟირების მიზანია "განავითაროს და გააძლიეროს ტურისტული ორგანიზაციის / ტურისტული ბიზნესის მართვის თავისებურებების შესახებ მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები; შესძინოს სტუდენტს პრაქტიკული ღონისძიების პროცესში საჭირო მონაცემების შეგროვების და სისტემატიზაციის, არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის და სინთეზის და წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის გზების მოძიების პრაქტიკული უნარები. ტურისტულ ბიზნესზე დაკვირვების და პროცესში ჩართულობის მეშვეობით, გაიღრმავოს ცოდნა და შეიძინოს ტურისტული კომპანიის საქმიანობის მიზნების, ტურისტული ბაზრის ანალიზის და ტურისტული პროდუქტის შემუშავების პრაქტიკული უნარები; ხელი შეუწყოს ტურისტული ბიზნესის ცვალებად გარემოსთან სწრაფ ადაპტაციას; დაეხმაროს სტუდენტს რეალურ სამუშაო გარემოში დამოუკიდებლად, ეთიკური

ღირებულებების გათვალისწინებით და პასუხისმგებლობით განახორციელოს პროფესიული საქმიანობა მიღებული ინფორმაციის და გამოცდილების საფუძველზე".

სტაჟირების კომპონენტში პრაქტიკული აქტივობებისთვის განსაზღვრულია 90 საათი, ხოლო დამოუკიდებელი მუშაობისთვის 154 საათი, რაც ნიშნავს, რომ 15 სასწავლო კვირის განმავლობაში კვირაში გათვალისწინებულია 6 საკონტაქტო საათი. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, შეუძლებელია სასწავლო კურსის მიზნების და სწავლის შედეგების მიღწევა, ისევე როგორც პროგრამის მესამე (განმტკიცება) დონის უზრუნველყოფა. აღნიშნული მოსაზრება განხილულ იქნა გასაუბრების ფარგლებში, სადაც პროგრამის ხელმძღვანელმა პარალელი გაავლო გერმანულენოვან სამწლიან პროგრამასთან, რომელიც ფოკუსირებულია პრაქტიკული უნარების გაძლიერებაზე. აუცილებელია გაიზარდოს სტაჟირების ობიექტზე საკონტაქტო მუშაობის კვირეული დატვირთვა და აღნიშნული აისახოს შესაბამის მემორანდუმებში / ხელშეკრულებებში. დამსაქმებლებმა ასევე გამოხატეს მზაობა აღნიშნული საკითხის მოგვარებასთან დაკავშირებით.

დამსაქმებლებთან ჩატარებული ინტერვიუების ფარგლებში დაისვა კითხვა სტაჟირების კომპონენტის განხორციელებასთან მიმართებით, რაზეც წარმოდგენილ იქნა ზოგადი ინფორმაცია. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა აქტიურად ითანამშრომლოს პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან პრაქტიკის კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების საკითხებზე.

ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა მომიჯნავე სპეციალობის პრაქტიკის დოკუმენტაცია - დღიურები და ანგარიშები. უნივერსიტეტმა წარმოდგინა პრაქტიკის დღიურის ჩარჩო - ფორმატი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას სტუდენტის, პრაქტიკის ხანგრძლივობის, ობიექტის, დღიურის შევსების პროცედურის და კვირეული დავალებების შესახებ.

უნივერსიტეტმა თვითშეფასების ანგარიშთან ერთად წარმოადგინა მემორანდუმები / ხელშეკრულებები (11), რომლებიც შემუშავებულია აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. მემორანდუმებში / ხელშეკრულებებში მითითებულია სტაჟირების მიზანი, ვალდებულებები, ხანგრძლივობა (კვირაში 6 საათი) და სტაჟირების ობიექტზე მისაღები სტუდენტების რაოდენობა (მინიმუმ 5, მაქსიმუმ 30).

აღსანიშნავია, რომ მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ისაუბრეს სასწავლო პროცესის მიღმა განხორციელებულ პრაქტიკულ, კვლევით აქტივობებზე და ტრანსფერული უნარების განმავითარებელ ღონისძიებებზე, როგორცაა სტუდენტური კონფერენციები, უნივერსიტეტის სპორტული ღონისძიებები, საჯარო ლექციები, საინფორმაციო შეხვედრები, ტრენინგები და სხვა. ინფორმაცია ღონისძიებების შესახებ განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამები და სილაბუსები;
- დამსაქმებლებთან და სტაჟირების ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმები;
- სტაჟირების დღიურები, ანგარიშები, დაცვის ანგარიშები;
- უნივერსიტეტის ვებ - გვერდი www.sjuni.edu.ge;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები.

- რეკომენდებულია, გაიზარდოს სტაჟირების ობიექტზე საკონტაქტო მუშაობის კვირეული დატვირთვა და აისახოს შესაბამის მემორანდუმებში / ხელშეკრულებებში. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა აქტიურად ითანამშრომლოს სტაჟირების ობიექტების წარმომადგენლებთან სტაჟირების კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების საკითხებთან დაკავშირებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.2 პრაქტიკული, კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო ტრანსფერული განვითარება	სამეცნიერო/ და უნარების მეტწილად შესაბამისობაშია

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შეფასებისთვის წარმოდგენილი პროგრამის თანახმად, სასწავლო პროცესში გამოიყენება შემდეგი მეთოდები: ჯგუფური (კოლაბორაციული) მუშაობა; ვერბალური მეთოდები; წიგნთან მუშაობა; წერიტი სამუშაო; პრაქტიკული სამუშაო; დისკუსია/დებატები; შემთხვევის ანალიზი; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); ბრენსტორმინგი/გონებრივი იერიში; დემონსტრირება; ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი; ახსნა; მოქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; ელექტრონული სწავლება და ა.შ.

პროგრამაში სწავლებისა და სწავლისთვის გამოყენებული აქტივობები მოიცავს:

- წიგნების/სახელმძღვანელოების დამოუკიდებელი დამუშავება/ახსნა/ინტერპრეტაცია;
- პრაქტიკული მაგალითები;
- პროფესიული ანგარიშის წერა;
- კითხვებზე პასუხების მომზადება;
- წერილობითი დავალებების შესრულება;
- შემთხვევის ანალიზი;
- დისკუსიებსა და დებატებში მონაწილეობა;
- პროექტის დამოუკიდებელი მომზადება ხელმძღვანელის მითითებების საფუძველზე;

და სხვა.

პროგრამას თან ახლავს რუკა, რომელიც ასახავს სწავლების მეთოდებისა და პროგრამის შედეგების შესაბამისობას. პროგრამის თითოეული კურსის/საგნის სწავლების მეთოდები შეესაბამება განათლების დონეს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს, დარგის მახასიათებლების მოთხოვნებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სწავლება-სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში, პერსონალსა და სტუდენტებს შორის ურთიერთქმედებას, რაც ითვალისწინებს სტუდენტის მონაწილეობას სასწავლო პროცესში სათანადო ავტონომიითა და პასუხისმგებლობით და მიზნად ისახავს სტუდენტის მიერ სხვადასხვა უნარების განვითარებას, მათ შორის კრიტიკულ და ანალიტიკურ უნარებს.

